

თარგმნა აია ბერაიამ

ჯასბირ პუარი

ქვიარ დრო, ქვიარ კრებულები¹

ჩვენ უდაოდ ქვიარ დროში ვცხოვრობთ. ომი ტერორის წინააღმდეგ არის კრებული, რომელიც ჩახლართულია გამძლე მოდერნისტული პარადიგმების გროვასა (ცივილიზაციის ტელეოლოგიები, ორიენტალიზმები, ქსენოფობია, მილიტარიზაცია, საზღვრებთან დაკავშირებული შფოთვები) და პოსტმოდერნისტულ ამოფრქვევებში (თვითმკვლელი ტერორისტები, დაზვერვის ბიომეტრიული სტრატეგიები, ახალი სხეულებრივი რეალობები, ზღვარსგადასული კონტრტერორიზმი). აქცენტით სხეულებზე, სურვილებზე, სიამოვნებებზე, შეხებაზე, რიტმებზე, ექოებზე, მატერიებზე, სიკვდილებზე, ავადობაზე, წამებაზე, ტკივილზე, შეგრძნებასა და სასჯელზე, ჩვენი ნეკროპოლიტიკური ანმყო-მომავალი მნიშვნელოვანს ხდის, ხელახლა ჩამოვაყალიბოთ, თუ რა აქვს ქვიარ თეორიას და სექსუალობის კვლევებს სათქმელი მეტათეორიებსა და იმპერიის „რეალპოლიტიკაზე“, რაც, როგორც ჯონ სკოტი აღნიშნავს, ხშირად გაგებულია, როგორც „პოლიტიკის რეალური საგანი“.¹ ქვიარ დრო მოითხოვს აზროვნების, ანალიზის, შემოქმედებისა და გამოხატვის კიდევ უფრო ქვიარ მოდალობებს, რათა უკეთ გავერკვეთ ნაციონალისტურ, პატრიოტულ და ტერორისტულ ფორმაციებსა და მათ გადაჯაჭვულობაში რასიალიზებულ პერვერტულ სექსუალობებსა და გენდერულ დისფორიებთან. რა ღრმად ქვიარ მახასიათებლები აქვს ტერორიზმის წინააღმდეგ ომს და მის თანმდევ რასიზმის, ნაციონალიზმის, პატრიოტიზმისა და ტერორიზმის კრებულებს? სხვადასხვა ტერორისტულ სხეულებრივ რეალობებში ქვიარობის შესწავლა საშუალებას მაძლევს, განვაცხადო, რომ ქვიარობა მრავლდება მაშინაც კი, ან განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის უარყოფილი ან არაღიარებულია. ამ ტიპის ძიებებს არა მხოლოდ იმისთვის ვაწარმოებ, რომ ვაჩვენო კონტრტერორიზმის დისკურსები შინაგანად გენდერირებული, რასიალიზებული,

¹ პუარი იყენებს ჟილ დელეზის ტერმინს „კრებული“ (assemblage), რასაც ამავე სტატიაში განმარტავს შემდეგნაირად: „გაფანტული, მაგრამ ურთიერთგანმაპირობებელი ქსელების წყება [რომელიც] აერთიანებს დასაწყისსა და დასასრულს, კუზალობას და შედეგს,“ და შემდგომში ამ მოდელს იდენტობის ინტერსექციური მოდელის საპირისპიროდ განიხილავს. (მთარგმნელის შენიშვნა).

სექსუალიზებული და ნაციონალიზებულია, არამედ იმისთვისაც, რომ ვაჩვენო ნორმატიული პატრიოტული სხეულების წარმოება ქვიარ ტერორისტული სხეულებრივი რეალობების საწინააღმდეგოდ და მათი საშუალებით ხდება. ჩემს სპეკულაციურ, კვლევით წამოწყებაში, რასაც ახლა წარმოგიდგენთ, ამ გადაფარვის სამ მანიფესტაციას გამოვკვეთავ. პირველი, ვიკვლევ ქვიარობის დისკურსებს, სადაც ქვიარ სხეულებრივი რეალობების პრობლემური კონცეპტუალიზაციები, განსაკუთრებით მუსლიმურ სექსუალობებზე ფოკუსით, აშშ-ს გამორჩეულობის დისკურსების სასარგებლოდ რეპროდუცირდება. მეორე, განვიხილავ ტერორისტ სხეულს, ამ შემთხვევაში, თვითმკვლელ ტერორისტს, როგორც ქვიარ კრებულს, რომელიც ეწინააღმდეგება ქვიარობას-როგორც-სექსუალურ-იდენტობას (ან ანტიიდენტობას) - სხვა სიტყვებით, ინტერსექციურ და იდენტობაზე ფოკუსირებულ პარადიგმებს - და ამის საწინააღმდეგოდ ქმნის სივრცობრივ, დროით და სხეულებრივ შერწყმებს, მარცხებს და გადანაცვლებებს. ქვიარობა, როგორც კრებული, სცილდება ექსკავაციის სამუშაოს, ამცირებს ქვიარ და არაქვიარ სუბიექტებს შორის ბინარული ოპოზიციის მნიშვნელობას, და ნაცვლად იმისა, რომ შეინარჩუნოს ქვიარობა, როგორც ექსკლუზიურად მემბოხე, წინააღმდეგობაში მყოფი და ალტერნატიული (ქვიარობა მართლაც წარმოადგენს ამ ყველაფერს), ის ხაზს უსვამს დომინანტურ ფორმაციებზე დამოკიდებულებასა და კომპლიციტურობას. დაბოლოს, ვამტკიცებ, რომ ფოკუსი ქვიარობაზე, როგორც კრებულზე, საშუალებას იძლევა, ყურადღება მივაქციოთ ონტოლოგიას ეპისტემოლოგიასთან ტანდემში, აფექტს რეპრეზენტაციულ წესრიგებთან კავშირში, სადაც სხეულები, როგორცაა მაგალითად ჩალმიანი სიქიⁱⁱ ტერორისტი, აღწევენ ერთმანეთში, ტრიალებენ ერთად და ერთმანეთს აფექტებს გადასცემენ. ჩემი აზრით, აფექტისა და ონტოლოგიის საშუალებით, ჩალმიანი სიქი ტერორისტი, როგორც ქვიარ კრებული, სამხრეთ აზიური ქვიარ დიასპორების სივრცეს გარდაქმნის.

აშშ-ს გამორჩეულობის ქვიარ ნარატივები

როგორც კრიტიკა, „ქვიარ ლიბერალიზმი“ ორი მოვლენის შემამოთხველ, მაგრამ არც იმდენად მოულოდნელ შერწყმას აღნიშნავს: ქვიარობის რადიკალური გააზრება,

ⁱⁱ სიქები არიან სიქიზმის - ინდოეთის ერთ-ერთი მონოთეისტური რელიგიის - მიმდევრები. სიქიზმი XV საუკუნის ბოლოს დააარსა გურუ ნანაკმა, გავრცელებულია ძირითადად პენჯაბის შტატში. (მთარგმნელის შენიშვნა).

როგორც პოსტსტრუქტურალისტური ანტიიდენტობისა და ტრანსიდენტობის პოზიციიდან მომდინარე კრიტიკა და ნაციონალური სუბიექტის ფორმირების ლიბერალური მოთხოვნები. შეგვიძლია დავსახოთ ქვიარ ლიბერალი სუბიექტების რამდენიმე განსხვავებული, მაგრამ ურთიერთგადამკვეთი გენეალოგია. პირველი ქვიარ მომხმარებელი-მოქალაქის აღზევებაა, რამაც 1980-იანებში და 1990-იანების დასაწყისში იმძლავრა და რასაც ხელი შეუწყო წარმოდგენებმა ოჯახისგან თავისუფალი გეებისა და ლესბოსელების უზარმაზარ შემოსავლებზე. მეორე გენეალოგიამ - ქვიარ ლიბერალი სუბიექტი კანონის წინაშე - კულმინაციას 2003 წელს მიაღწია სოდომის დეკრიმინალიზაციით საქმეში „ლორენსი და გარნერი ტექსასის წინააღმდეგ“. მომხმარებლური ხაზიც და სამართლებრივი ხაზიც მნიშვნელოვნად რეფლექსირებს ერის სტატუსზე, მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, ქვიარ ლიბერალიზმის განხორციელების ყველაზე მოკლე გზა გადის ამერიკული ნაციონალიზმის მოქმედებაზე სექსუალური „სხვის“ წარმოების პრაქტიკებით, რისი გვერდითი მოვლენაცაა ამერიკული ქვიარ იდენტობების გამორჩეულად მონიშვნა, საპირისპიროდ შუა აღმოსავლეთში სექსუალობის ისლამოფობიური კონსტრუირებისა. აქ არ ვცდილობ კონსერვატიული ლესბოსური, გვი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ქვიარ (ლგბტქ) დისკურსებისთვის დამახასიათებელი რასიზმისა და სხვა სახის ექსკლუზიების კრიტიკას. აქ პრობლემა მაქვს ქვიარ თეორიასთან, რომელიც მიუხედავად ინტერსექციური ანალიტიკური ჩარჩოს მიმართ ერთგულებისა (და შესაძლოა სწორედ ამის გამოც), ვერ უსვამს კითხვას ეპისტემოლოგიურ ცოდნის ნებას, რომელიც გამუდმებით კვლავწარმოებს ამერიკული ერი-სახელმწიფოს დისციპლინურ ინტერესებს. ამერიკული სექსუალური გამორჩეულობის ფორმები ნაგულისხმევად პროგრესულ სივრცეებში, ისტორიულად „მესამე სამყაროს“ ქალების ფემინისტური კონსტრუქციებით გამოვლინდა; თუმცა ის, რაც ახლა გვაქვს, არის სექსუალური გამორჩეულობის წარმოება როგორც ნორმატიული, ისე არანორმატიული (ქვიარ) სხეულების საშუალებით. ანუ ქვიარობა წარმოდგენილია, როგორც ამერიკული ნაციონალური სექსუალობის სექსუალურად გამორჩეული ფორმა; ეს ხდება სექსუალური მოდერნიზაციის რიტორიკის საშუალებით, რომელსაც შეუძლია დაგმოს „სხვა“, როგორც ჰომოფობი და პერვერტი, და ამავდროულად, აავოს იმპერიალისტური ცენტრი, როგორც „ტოლერანტული“, მაგრამ სექსუალურად, რასობრივად და გენდერულად ნორმალური.

აშშ-ს გამორჩეულობას, რომელიც ნაციონალისტური საგარეო პოლიტიკის ნაწილია, ქვიარობა უთავსდება თეთრკანიანობის ქვიარ ნორმად არტიკულირებითა და

წარმოებით, აგრეთვე ამერიკის იმპერიალისტური ექსპანსიის მღუმარედ მიღებით. მაგალითად, ნაციონალური ლგბტქ ორგანიზაციები, როგორცაა გეი და ლესბოსელი ტასკ-ფორსი (NGLTF) და ადამიანის უფლებების კომისია (HRC) უფრო მეტად გეი ქორწინებისა და არმიაში გეების საკითხებითაა დაინტერესებული, ვიდრე ტერორიზმის წინააღმდეგ ომით ან თუნდაც „ჰომოსექსუალური სექსის“ წამების სკანდალით აბუ ღრაიბში.² მეტიც, მუბარაკ დაჰირი აღნიშნავს, რომ ზოგიერთმა ორგანიზაციამ ლგბტქ არაბების ჩაგვრა ომის გასამართლებლად გამოიყენა, იგი ერაყში ომის მხარდამჭერ გეებს და ლესბოსელებს მოუწოდებს, „შენწყვიტონ თავის მოჩვენება, თითქოს გეი არაბების უბედურება აღელვებთ, იმისთვის რომ თავიანთი მხარდაჭერის რაციონალიზება მოახდინონ.“³ ის რომ ქვიარ მემარცხენეობა ფერადკანიანებზე არ ფოკუსირდება, წარმოადგენს საშიშ მიჯნას რასისტული, იმპერიალისტური ომის კრიტიკის თავიდან არიდებისა, ან პირიქით, კოლონიური და მულტიკულტურალისტური ფეტიშიზმების ხელახლა გააქტიურებისა, მაგალითად, ფილიპინელ ქვიარ ომის მოწინააღმდეგე სტივენ ფანკთან მიმართებაში, რომელიც ლგბტქ ანტისაომარი მოწოდებების საპოსტერე ქვიარად იქცა. განიხილავენ თუ არა ლგბტქ თემები ტერორიზმის წინააღმდეგ ომს „გეი საკითხად“?⁴ და თუ ასეა, გამოხატავენ თუ არა ისინი რასის, იმპერიისა და გლობალიზაციის პოლიტიკას?

ამგვარი ქვიარ გამორჩეულობის ძალიან აშკარა წარმოება შეგვიძლია აღმოვაჩინოთ აბუ ღრაიბის „სექსუალური წამების სკანდალზე“ მრავალ სხვადასხვა გამოხმაურებაში. აბუ ღრაიბის საგა აჩვენებს, რომ ამერიკული გამორჩეულობის გეოპოლიტიკის წარმოებაში სექსუალობა გადამწყვეტ როლს ასრულებს, და მიუხედავად ასეთი მნიშვნელობისა, ან იქნებ სწორედ ამიტომაც, ტერორის წინააღმდეგ ომის შესახებ მიმდინარე დებატებში სექსუალობა სუსტად თეორეტიზებული, შეუფასებელი და ხშირად დაიგნორებული ასპექტია. 2004 წლის მაისში ფოტოების გამოქვეყნებიდან ძალიან მალევე, წამების აღწერები „ჰომოსექსუალური აქტების“ კატეგორიაში მოხვდა, რამაც გამოიწვია მთელი კასკადი ინტერვიუებისა ქვიარ თეორეტიკოსებთან, ორგანიზაციული პრეს-რელიზები ლგბტქ ორგანიზაციებისგან და სტატიები გეი პრესაში, რომელთაგან თითოეული, გასაოცარია, მაგრამ, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე ავტორიტეტულად საუბრობდა „მუსლიმურ სექსუალობაზე“. გეი პრესაში აბუ ღრაიბის ფოტოებს გმობდნენ, როგორც „შეიარაღებულ ძალებში ფეხმოკიდებული ჰომოფობიის მტკიცებულებას“,⁵ თუმცა ამასთან დაკავშირებული რასიზმისა და სექსიზმის პროცესებს იშვიათად ახსენებდნენ. კიდევ უფრო შემამფოთებელი იყო ის,

რაც წამების ეფექტურობის მიზნად დასახელდა: ჰომოსექსუალობის ტაბუირებული, უკანონო, აკრძალული, უარყოფილი სტატუსი ერაცსა და შუა აღმოსავლეთში, რასაც ემატება სიშიშვლის, კაცებს შორის კონტაქტის მიუღებლობა და იშვიათად ნანახ საპირისპირო სქესთან სექსუალური მოკრძალება. ეს არის სწორედ არაბული/მუსლიმური/ისლამური (აქვს კი მნიშვნელობა, რომელი?) კულტურული განსხვავების ის ზედაპირული იდეა, რასაც სამხედრო დაზვერვამ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა, რათა შეექმნათ ის, რაც მათი აზრით, კულტურულად სპეციფიკური, „ეფექტური“ წამების მეთოდების მატრიცა იყო. მაშასადამე, აქ ვხედავთ პარალელებს პენტაგონის სტრატეგიებს - რომელმაც სხვა მასალებს შორის ანთროპოლოგიური კვლევა, „არაბული გონება“ გამოიყენა - და პროგრესული ქვიარებისგან წამოსულ დისკურსებს შორის. მაგალითად, ფაისალ ალამმა, საერთაშორისო მუსლიმური ლესბოსური, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი, ინტერსექსი და ქვიარ (ლგბტიე) ორგანიზაციის, ალ-ფატიჰას დამფუძნებელმა და დირექტორმა, განაცხადა, რომ „სექსუალური დამცირება ალბათ ნებისმიერი მუსლიმისთვის წამების ყველაზე უარესი ფორმაა“. ალ-ფატიჰას პრეს-რელიზი აგრძელებს: „ისლამი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მოკრძალებას და სექსუალურ პრივატულობას. ერაცი, ისევე როგორც დანარჩენი არაბული სამყარო, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მასკულინობის იდეებს. კაცების იტულება, ერთმანეთის თვალწინ იმასტურბირონ და ერთნაირსქესიანთა აქტების ან ჰომოსექსუალური სექსის ინსცენირება მოახდინონ, მრავალი მუსლიმის თვალში, პერვერტული და სადისტურია.“ კიდევ ერთ ინტერვიუში ალამი იმეორებს ფოკუსს მისაღები გენდერული ნორმების დარღვევაზე და ამტკიცებს, რომ წამება არის „თავდასხმა მათ მასკულინობაზე.“⁶

ალ-ფატიჰას განცხადებები ჩემთვის პრობლემურია, რადგან ისინი, ბევრ სხვა განცხადებასთან ერთად, „მუსლიმური სექსუალობის“ ორიენტალისტურ იდეებს ეყრდნობა, თითქოს ეს სექსუალობა წინა პლანზე სწევს სექსუალურ რეპრესიას და მხარს უჭერს მასკულინობის ნორმატიულ ვერსიებს - ანუ ფემინიზებული პასიური პოზიცია ნატურალიზებულია, როგორც დამამცირებელი და თითქოს ის მძლავრ ნაციონალიზმს აწარმოებს. სოლიდარობის გამოხატვის მიზნით, ალ-ფატიჰას კომენტარები უკრიტიკოდ მიიღო სხვადასხვა ქვიარ სექტორმა: ლესბოსური და გეი კვლევების ცენტრმა ეს განცხადებები თავის ბიულეტენში გამოიყენა იმისთვის, რათა საკუთარი ხედვა მკვიდრი ინფორმანტის საშუალებით გაემყარებინა, გეი პრესა კი დაუსრულებლად ავრცელებდა მისაღები მასკულინობისა და სექსუალური

კონსერვატიზმის ხაზებს. მინდა ხაზი გავუსვა იმ პოზიციის კომპლექსურობას, რომლის დაკავებაც ალ-ფათიჰას მსგავს მუსლიმურ და არაბულ ჯგუფებს უწევთ ჩვენს დროში, როდესაც კულტურის ლინზიდან განჭვრეტილი „მუსლიმური სექსუალობის“ დაცვა ხშირად ადვილად კოოპტირდება ხოლმე რასისტულ დღის წესრიგებში.⁷ ალ-ფათიჰა, რომელიც ქვიარობისა და არაბობის გზაჯვარედინზეა განთავსებული, იძულებული იყო და კვლავაც არის, რომ მუსლიმური სექსუალობის ორიენტალისტური პარადიგმები დაადასტუროს და ამგვარად, აშშ-ს სექსუალური გამორჩეულობის ნარატივები კვლავანარმოოს. ჰომოსექსუალობასთან შეპირისპირებით, მუსლიმური სექსუალური რეპრესიისა და „მოკრძალების“ იდეის გამყარება, ამერიკას, ამისგან განსხვავებით, კვლავაც ამგვარი სექსუალური შეზღუდვებისგან თავისუფალ სივრცედ წარმოადგენს. ალ-ფათიჰას ისლამისა და სექსუალობის საკითხებზე უფრო კომპლექსური აზრი რომ განეფიქრებინა, ის არა მხოლოდ ასცდებოდა იმ ორიენტალისტურ რეზონანსს, რასაც მას-მეღია ასე გზნებით ელოდა - ეს ნიშნავს, რომ ამ რეზონანსთან თანხვედრის გარეშე მედიის ყურადღების მიპყრობის შანსი თითქმის არ არსებობს - არამედ ის ასევე საფრთხეს შეუქმნიდა მოსახლეობას, რომელიც უკვე იწვინებდა „პატრიოტის აქტის“ მავნებლურ რასისტულ შედეგებს: თვალთვალს, დეპორტაციებს, დაკავებებს, რეგისტრაციებს, პრევენციულ მიგრაციებს და გამგზავრებებს. შესაბამისად, ალ-ფათიჰას პერფორმანსი, რომელიც გარკვეულ თანხვედრაშია ამერიკულ სექსუალურ გამორჩეულობასთან, მოთხოვნის შედეგია და არა რჩევის. აშშ-ს სხვადასხვაგვარი ქვეშევრდომების, მათ შორის მუსლიმი ამერიკელის, გამრავლება და მათი არსებობის ეპისტემოლოგიური პირობები აშშ-ს უსაფრთხოების სამსახურის სფეროა.

ჩვენი სადაო საგანი არ არის ის, თუ როგორ შევაფასოთ ჰომოსექსუალობის სტატუსი შუა აღმოსავლეთის (რეგიონულ კვლევებთან დაკავშირებული იმპლიკაციების გამო ამ სიტყვას ყოყმანით ვიყენებ) ვრცელ ისტორიულ და გეოგრაფიულ, რომ აღარათვერი ვთქვათ, რელიგიურ, კლასობრივ, ნაციონალურ და პოლიტიკურ, ვარიაციებში. ამის ნაცვლად ყურადღება უნდა მივაქციოთ, როგორ თავსდება დასავლურ მზერასთან შეხვედრის ისტორიაში „ჰომოსექსუალობის, როგორც ტაბუს“ წარმოება. „აღმოსავლეთი“ ერთ დროს ფუკოს *ars erotica*-სა და საიდის დეკონსტრუქციულ ნაშრომში დასახული იყო, როგორც საწყისი შვების, შეუბოჭავი ცოდვისა და იმგვარი აქტების სივრცედ, რომელსაც თან იდენტობები და სხვა შედეგები არ ახლდა, ახლა კი რეპრესიისა და პერვერსიის სიმბოლოა, ხოლო თავისუფლების სავანე დასავლურ იდენტობას გადაეცა. მაგალითად, ქვიარ თეორეტიკოსი პატრიკ მური, ავტორი წიგნისა

„სირცხვილს მიღმა: რადიკალური გვი სექსის მივინწყებული ისტორიის დაბრუნება,“ ამგვარ აზრს გამოთქვამს:

რადგანაც „გვი“, სექსუალური აქტის გარდა, იდენტობას და კულტურასაც გულისხმობს, დასავლელი გვი კაცისთვის რთულია, სრულად წარმოიდგინოს დამცირების ის დონე, რაც ერაყელმა პატიმრებმა განიცადეს. მაგრამ არაბულ სამყაროში, ეს ახლა თვალსაჩინო დამამცირებელი მეთოდები ჰომოსექსუალობასთან ისლამის პრობლემური დამოკიდებულების გამო განსაკუთრებულად ეფექტურია. ეს არ გულისხმობს, რომ ისლამურ საზოგადოებაში კაცებს შორის სექსი არ ხდება - მაგრამ სირცხვილის წყარო გვი იდენტობაა და არა თვით აქტი. თუ კაცი სხვა კაცთან სექსისას ნაგულისხმევად ქალურ (პასიურ) როლს არ იღებს, ამ ქმედებაში სამარცხვინო არაფერია. რეპორტებიდან ჩანს, რომ პატიმრებზე არა მხოლოდ ფიზიკურად ძალადობდნენ, არამედ აბრალებდნენ კიდევ ჰომოსექსუალობას, რაც მათთვის ბევრად უფრო გამანადგურებელია.⁸

მურის მიერ აღწერილი ტელოსი აქტიდან იდენტობამდე დასავლეთს იდენტობის სივრცედ წარმოადგენს (და ყურადღების მიღმა ტოვებს აქტი-იდენტობის მიმართებებთან დაკავშირებულ დაბნეულობას აშშ-ს ჰომოსექსუალობების ცენტრში), მაშინ როცა არაბული სამყარო, ამკარად „ჰომოსექსუალობასთან ისლამის პრობლემური დამოკიდებულების“ გამო, დაქვეითებულია აქტების ჩამორჩენილ სამყაროდ. „არაბულ სამყაროში“ გვიდ ან ლესბოსელად იდენტიფიცირებული მუსლიმების არსებობა წარმოუდგენელია. არანაირი მტკიცებულება არ არსებობს იმისა, რომ [მუსლიმებისთვის] ჰომოსექსუალის წოდება უფრო გამანადგურებელია, ვიდრე წამების მსხვერპლად ყოფნა, შესაბამისად, მურის რაციონალიზაცია იკითხება ორიენტალისტურ პროექციად, რომელიც „დასავლეთში“ იდენტობის შეზღუდვებსა და წარმოდგენილ ასპექტებზე უფრო მეტს ამბობს, ვიდრე რაიმე სხვაზე. მეტიც, ისლამური სექსუალური რეპრესიის უკრიტიკო ბრმა მიღებაში ვხედავთ ამკარა გადათამაშებას იმისა, რასაც ფუკომ „რეპრესიული ჰიპოთეზა“ უწოდა: ეს არის იდეა, რომ სექსუალობაზე დისკუსიის ან ღიაობის ნაკლებობა ასახავს დასუსტებული სექსუალური სურვილის რეპრესიულ, ცენზურით მართულ აპარატს.⁹ მაშინ როდესაც საიდის „ორიენტალიზმში“ „აღმოსავლეთში“ აღმოჩენილ აკრძალულ სექსს „დასავლეთი“ იყენებდა, რათა რეპრესიული ჰიპოთეზის საკუთარი პერფორმანსისგან გათავისუფლებულიყო, აბუ ღრაიბის შემთხვევაში, პირიქით, არაბი პატიმრების რეპრესიულობა ხაზგასმულია, რათა ამერიკელი ციხის მცველების ჰიპერსექსუალური გადამეტებები გაუჩინარდეს.

თუ ამერიკელი მცველების მიერ გამოჩენილ მოუთოკავ ჰომოფობიას, რასიზმს და მიზოგინიას გავითვალისწინებთ, მართლაც ირონიული, თუმცა მოსალოდნელი, იყო ის, რომ აშშ ყველაფრის მიუხედავად მაინც წარმოჩინდა, როგორც გამორჩეული, ჰომოსექსუალობის მიმართ მეტად ტოლერანტული (და მიზოგინიით და ფუნდამენტალიზმით ნაკლებად დაღდასმული), ვიდრე რეპრესირებული, მოკრძალებული, სიშიშვლისმოძულე „შუა აღმოსავლეთი“. აქ აშკარად ვხედავთ ფუკოს „მთქმელის ბენეფიტის“ პერფორმატიულ პრივილეგიებს: ვისაც სექსუალური ცოდნის გამოთქმა (განსაკუთრებით საკუთარ თავზე, თუმცა ამ შემთხვევაში, სხვებზე) შეუძლია, ის ამ მეტყველების აქტის საშუალებით, რეპრესიის სივრციდან გათავისუფლებულად მოჩანს.¹⁰ „ჰომოსექსუალობისა“ და „მუსლიმის“ დაჟინებული და ისტერიული წარმოებით ურთიერთგამომრიცხავ, განცალკევებულ კატეგორიებად, ქვიარობა შესაბამისობაში მოდის გამორჩეული ამერიკული სექსუალური ნორმების აღწერასთან, რომლებიც „ტერორისტი“ სხეულების მიუღებელი სექსუალობის ფორმების საწინააღმდეგოდ იწარმოება. უფრო მეტიც, ქვიარ გამორჩეულობა ამთლიანებს ამერიკულ ნაციონალიზმს რასის გამუდმებული განცალკევებით სექსუალობისგან - ტერორისტის (რომელიც წარმოდგენილია, როგორც სექსუალურად რეპრესირებული, პერფერტული ან ორივე ერთად) რასა და ეროვნული ქვიარის (რომელიც წარმოდგენილია, როგორც თეთრკანიანი და გენდერულად ნორმატიული) სექსუალობა: ეს ორი არ უნდა შეერთდეს.

ტერორისტული სხეულებრივი რეალობები

ხოსე ესტებან მუნოსის ნაშრომი ლოს ანჯელესელი პერფორმანსის არტისტი ვეჯაინალ დევისის „ტერორისტულ დრეგზე“ სხვა პოლიტიკურ ეპოქაში გვაბრუნებს - უცნაურია, თითქოს ეს დიდი ხნის წინ იყო, თუმცა სინამდვილეში 1990-იანების შუა წლებზე ვსაუბრობთ - როდესაც ტერორისტის ცნება კრიტიკულად, მაგრამ შორეულად ფიგურირებდა.¹¹ მუნოსის მიხედვით, დევისის დრეგ პერფორმანსები, რომელიც „კროსსქესობრივ, კროსრასობრივ მინსტრელობას“ მოიცავდა, ტერორისტული ორდონებეა. ესთეტიკურ დონეზე, დევისი გლამურული გოგონას ფემინურ დრეგს უარყოფს და სანაცვლოდ ირჩევს „მიწიერ პარტიზანულ რეპრეზენტაციულ სტრატეგიებს“, როგორცაა თეთრი სუპრემაციისტი მილიციელი და შავკანიანი თაღლითი მეძავი, რომლებსაც მუნოსი „ქვეყნის ყველაზე საშიშ მოქალაქეებს“

უნოდებს. ეს მიანიშნებს პერფორმანსების მნიშვნელობის მეორე დონეზე, „რასასთან, გენდერთან და სექსუალობასთან დაკავშირებული ერის შინაგანი შიშების“ განახლებაზე. 9/11-ის შემდგომ კონტრტერორისტულ კლიმატში მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ პარტიზანებს და ტერორისტებს საკმაოდ განსხვავებული რასობრივი მნიშვნელობები აქვთ, პირველი ცენტრალური და სამხრეთი ამერიკის ფანტასტიკურ ლანდშაფტებთან ასოცირდება, მეორე კი ორიენტალისტური სახეების მრავალწლიან მემკვიდრეობასთან. ამ გეოგრაფიების კონტექსტში უნდა აღინიშნოს, რომ დევისი, როგორც თეთრკანიანი მილიციელი, ოსტატურად აბრუნებს ტერორიზმს სახლში - უფრო ზუსტად, ოკლაჰომა სითიში - და ამგვარად, წუთიერად მაინც, აშორებს მას ამ ორიენტალისტურ მემკვიდრეობას.

მუნოსის მიერ ტერორისტი ღრეგის აღწერა მიანიშნებს ქვიარებსა და ტერორს შორის ისტორიულ შერწყმებზე - ჰომოსექსუალები ერის მოლაღატეები, შპიონაჟის წევრები და ორმაგი აგენტები იყვნენ, მაკკარტის ეპოქაში კომუნისტებთან ასოცირდებოდნენ, და, თვითმკვლელი ტერორისტების მსგავსად, ჰომოსექსუალებსაც მოაქვთ და სურთ სიკვდილი (ორივე მათგანი ფიგურირებს, როგორც უკვე მომაკვდავი, თუმცა ჰომოსექსუალების შემთხვევაში, ეს შიღისის პანდემიით ხდება). ბოლოდროინდელ შეგონებებში გვიქორწინებას „ტერორიზმის ყველაზე უარეს ფორმას“ უწოდებენ, გვიწყვილებს კი „შინაურ ტერორისტებს“.¹² აშკარაა, რომ უკვე შეგვიძლია ვიკითხოთ, რა არის ტერორისტული ქვიარში? მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი და გადაუდებელი კითხვაა, რა არის ქვიარი ტერორისტში? რა არის ქვიარი ტერორისტულ სხეულებრივ რეალობებში? ტერორიზმის წინააღმდეგ ომის საშუალებით ყველაზე სწრაფად გავრცელებული და გლობალიზებული მასკულიზაციის სახეები ტერორისტული მასკულიზაციებია: დამარცხებულებსა და პერვერტულებს, ამ კასტრირებულ სხეულებს თავიანთი დისფუნქციის საზომად მუდამ აქვთ ფემინურობა და მეტონიმიურად არიან დაკავშირებულნი გონებისა და სხეულის სხვადასხვა პათოლოგიასთან - ჰომოსექსუალობასთან, ინცესტთან, პედოფილიასთან, შეშლილობასა და დაავადებასთან. მაგალითად, ჩვენ ვხედავთ იმ ტერორისტი მონსტრების ქვიარ ენერგიას, რომლებიც აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის კონტრტერორიზმის ვებსაიტს აშფოთებს.¹³ ტერორისტული ქსელის მზარდი, ვირუსული, ფეთქებადი მასა, საცეცები, რომლებიც მოჭრის მცდელობის მიუხედავად მუდამ ხელახლა იზრდება, ტერორისტს მიუწვდომელ, ამოუცნობ და ისტერიულ მონსტრად აქცევს და ამავდროულად, მას მხოლოდ აშშ-ს დაზვერვისა და უსაფრთხოების სისტემების

გამორჩეული შესაძლებლობები თუ მოერევა. ეს ამოუცნობი მონსტრი უბრალო დამკვირვებელი ან პარაზიტი არ არის; ერი ამ სხეულების ამოუცნობადობით ამ შეუკავებელი დისკომფორტის ასიმილაციას ახდენს და შესაბამისად, ამოუცნობთა სიის შექმნით აფექტურად აწარმოებს ახალ ნორმატიულობებსა და გამორჩეულობებს. მაშასადამე, ჩვენი ამოცანა არ არის, ქვიარ ტერორისტის ექსკავაცია ან ტერორისტის გაქვიარება ვცადოთ; საქმე ისაა, რომ ქვიარობა ყოველთვის უკვე ჩაშენებულია ტერორისტად სახელდების პროექტში; ტერორისტი, როგორც ასეთი, არ ჩნდება პარალელური პერვერსიის, დევიაციის, დეფორმაციის შემოტანის გარეშე. სტრატეგია, რომელიც კვლევის სუბიექტებს წაახალისებს, მთელი თავისი ქვიარობით წარმოჩინდნენ, ნაცვლად სტრატეგიისა, რომელიც კვლევის სუბიექტებს აქვიარებს, გვაძლევს სუბიექტით მართულ დროითობას, რომელიც განწყვილებულია მეთოდით მართულ დროითობასთან. ამ განსხვავებაზე აქცენტირებით, რომელიც არსებობს სუბიექტის გაქვიარებასა და სუბიექტში უკვე არსებულ ქვიარობას შორის (და ამგვარად სუბიექტის სრულად გაუჩინარებით), შესაძლებელი ხდება როგორც ყოფნის დროითობა, ასევე მუდამ წარმოქმნის დროითობა.

რადგან ქვიარს ცალკეული არსებობა, იდენტობა არ გააჩნია და სინამდვილეში, ქვიარობა ყველა მიმართულებიდან მოემართება ჩვენკენ და თავის დაუმორჩილებლობას სახეში გვახლის, ეს მიმანიშნებს, რომ ინტერსექციურობიდან კრებულზე ხდება გადასვლა. დელების „კრებული“, როგორც გაფანტული, მაგრამ ურთიერთგანმაპირობებელი ქსელების წყება აერთიანებს დასაწყისსა და დასასრულს, კაუზალობას და შედეგს. იდენტობის ინტერსექციური მოდელისგან განსხვავებით, რომელიც მოიაზრებს, რომ კომპონენტები - რასა, კლასი, გენდერი, სექსუალობა, ეროვნება, ასაკი, რელიგია - ცალკეული კატეგორიებია და შესაბამისად, შესაძლებელია მათი დამლა, კრებული უფრო მეტ ყურადღებას უთმობს ურთიერთგადაჯაჭვულ ძალებს, რომლებიც აერთიანებენ და ერთმანეთში ფანტავენ დროს, სივრცეს და სხეულს, განგრძობითობის, თანმიმდევრულობისა და პერმანენტულობის საპირისპიროდ. ინტერსექციურობა მოითხოვს იდენტობის დროსა და სივრცეში ცნობას, სახელდებას და შესაბამისად, მის სტაბილიზაციას, და აწარმოებს პროგრესის ნარატივებს, რომელიც უარყოფს იდენტიფიკაციის ფიქტიურობასა და პერფორმატიულობას: კი, შენ იდენტობა ხდები, მაგრამ ამავდროულად, მარადისობა მუშაობს ყველა სივრცეში უზადო სტაბილური იდენტობის ფიქციის გასამყარებლად. როგორც მრავალფეროვნების მენეჯმენტის ინსტრუმენტი და როგორც ლიბერალური

მულტიკულტურალიზმის მანტრა, ინტერსექციურობა თანხმობაში მოდის სახელმწიფოს დისციპლინურ აპარატთან - მოსახლეობის აღწერასთან, დემოგრაფიასთან, რასობრივ პროფილებთან, დაზვერვასთან - რადგან „განსხვავება“ აქ შეფუთულია სტრუქტურულ კონტეინერში, რომელსაც სურს იდენტობის ქაოტურობა შაბლონურ ბადეში მოაქციოს. კრებული ანაცვლებს ქვიარობას, როგორც იდენტობას თუ მოდალობას, რომელიც მხედველობით, სმენით, წაკითხვით ან შეხებით აღიქმება, და საშუალებას გვაძლევს, ყურადღება მივაპყროთ ინტენსივობებს, ემოციებს, ენერგიებს, აფექტურობებს, აგებულებებს, როდესაც ისინი გვხვდებიან მოვლენებში, სივრცეებში და სხეულებრივ რეალობებში. ინტერსექციურობა უპირატესობას ანიჭებს სახელდებას, ვიზუალობას, ეპისტემოლოგიას, რეპრეზენტაციას და მნიშვნელობას, კრებული ხაზს უსვამს გრძნობას, შეხებას, ონტოლოგიას, აფექტს და ინფორმაციას. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თანამედროვე პოლიტიკაში ნაციონალიზმის სიკვდილის მანქანის გაძლიერებული ასპექტის გათვალისწინებით - გაძლიერებული სენსორული და ანატომიური დომინაციის, რომელსაც აქილე მბემბემ „ნეკროპოლიტიკა“ უწოდა - კრებულები მოქმედებს აშშ-ს გამორჩეულობის ნარატივების წინააღმდეგ, რომლებიც იცავენ იმპერიას; კრებულები არყევს იმ რასობრივი და სექსუალური ტაქსონომიების ფიქსირებულობას, რომლებსაც სახელმწიფოს დაზვერვისა და კონტროლის პრაქტიკები ემყარება და თავგზას ურევს ტერორის წინააღმდეგ ომის „ჩვენ და ისინი-ს“. ეს იმიტომ ხდება, რომ ინტერსექციურობა და მისი საყრდენები - დაუცხრომელი ეპისტემოლოგიური სწრაფვა სიმართლისკენ - გულისხმობს იდენტობას და მაშასადამე, უარს ამბობს მომავალზე, კრებული კი ონტოლოგიის წყალობით და იმასთან კავშირით, რაც შეუძლებელია იცოდე, დაინახო ან გაიგონო ან ჯერ არ ვიცით, გვინახავს ან გაგვიგონია, ათავისუფლებს ქმნადობას ყოფნის მიღმა.¹⁴

ქვიარ კრებულები ჩნდება მბემბეს დამანგრეველ და ბრწყინვალე მედიტაციაში ჩვენი მიმდინარე დაუსრულებელი ომის პოზიციონირების ნეკროპოლიტიკაზე. მბემბე აცხადებს, რომ მოხდა ბიოძალაუფლებიდან ნეკროპოლიტიკაზე გადასვლა (სიცოცხლის დაქვემდებარება სიკვდილის ძალაუფლებისთვის) და აღნიშნავს, რომ სუვერენულობის ისტორიული ბაზისი, რომელიც (დასავლური) პოლიტიკური რაციონალობის იდეას ეყრდნობა, ითხოვს უფრო ზუსტ - სიცოცხლისა და სიკვდილის - სქემას.¹⁵ იგი კითხულობს, „რა ადგილი ეთმობა სიცოცხლეს, სიკვდილს და ადამიანის სხეულს (განსაკუთრებით, დაჭრილ ან განადგურებულ სხეულს)?“ მბემბე ყურადღებას მიაპყრობს (პალესტინელი) თვითმკვლელი ტერორისტის ინფორმაციულ

პროდუქტიულობას. ამ ტიპის ტერორისტის ქვიარ მოდალობებზე ფიქრისას უცნაურობების კრებულს შევნიშნავთ: სხეული-მანქანა, რომელიც მეტალს და ხორცს აერთიანებს, ორგანულისა და არაორგანულის კრებული; სიკვდილი - არა საკუთარი ან სხვისი, არამედ ორივესი ერთდროულად; თვითგანადგურება, როგორც წინააღმდეგობისა და თვითგადარჩენის უკიდურესი ფორმა. ეს სხეული იძულებით არიგებს ოპოზიციებს მათი გარდაუვალი კოლაფსის საშუალებით - ეს დაპირისპირების პერვერტული ყოფაა. ეს ფიგურა, რომელიც ყოველთვის უკვე მომაკვდავია, მაშინაც კი, როცა ის ქმნადობის პროცესშია, ისევე როგორც აივ-ინფიცირებული ჰომოსექსუალი, თვითმკვლელი ტერორისტიც ავსებს თავისი სექსუალურად პერვერტულის სტატუსს.¹⁶ მბემზე ასევე მიუთითებს თვითმკვლელი ტერორისტის ქვიარ ქმნადობაზე - „ბალისტიკის“ სხეულებრივ გამოცდილებაზე. თვითმკვლელი ტერორისტის სხეულზე მიკრული დინამიტი უბრალო დანამატი არ არის; სხეულთან იარაღის „ინტიმურობა“ ახდენს ნაგულისხმევი სივრცითი მთლიანობის (თანმიმდევრულობისა და კონკრეტულობის) და სხეულის ინდივიდუალობის რეორიენტირებას, რაც ინტერსექციური იდენტობების ტერიტორიაა: ამის ნაცვლად ახლა სხეული-იარაღი გვაქვს. ამ სხეულის ონტოლოგიური აფექტი მას ახლად წარმოქმნად, ქვიარ სხეულად აქცევს:

მოწამეობის კანდიდატი თავის სხეულს აქცევს ნიღბად, რომელიც მალე-ასაფეთქებელ იარაღს მალავს. ტანკისგან ან ყუმბარისგან განსხვავებით, რომელიც სრულიად ხილვადია, იარაღი, რომელსაც სხეულით ატარებენ, უხილავია. ამგვარად დამალული, ის სხეულის ნაწილად იქცევა. ის იმდენად ინტიმურად არის სხეულის ნაწილი, რომ აფეთქების მომენტში თავის მატარებელ სხეულს ანადგურებს, რომელიც თან იყოლებს სხვების სხეულებსაც, როდესაც იარაღი მათ ნაწილ-ნაწილ არ შლის. სხეული არა მხოლოდ მალავს იარაღს, სხეული იქცევა იარაღად, არა მეტაფორული, არამედ ნამდვილი ბალისტიკური აზრით.¹⁷

წინსვლის დროითი ნარატივები ამოტრიალდება, როდესაც სიკვდილი და ქმნადობა ერთმანეთს ერწყმის: სხეული იქცევა ნიღბად, იარაღად, თვითმკვლელ ტერორისტად მაშინ, როდესაც ის კვდება და არა მანამდე. ბალისტიკური სხეული მისი ტრანსფორმაციის ვიზუალური ნიშნების გარეშე ხორციელდება და გარდა ამისა, ის „თან იყოლებს სხვების სხეულებსაც.“ მისი პენეტრაციული ენერგია მეტალის ნამსხვრევებს და ხორცის ნაგლეჯებს ჰაერში ისვრის. ეს სხეული-იარაღი მეტაფორის მსგავსად არ მოქმედებს, არც მნიშვნელობისა და ეპისტემოლოგიის სფეროშია, არამედ გვაიძულებს, რომ ონტოლოგიურად ხელახლა დავსვათ კითხვა: რა სახის

ინფორმაციას გადმოგვცემს ეს ბალისტიკური სხეული? ეს სხეულები, რომლებიც წარმოქმნის პროცესში იმყოფებიან, აბუნდოვანებენ ზღვარს შინაგანსა და გარეგანს შორის, ტრანსფორმაციას შეგრძნებებით ტვირთავენ, ცოდნას ექოთი და ვიბრაციით ეხმაურებიან. ექო ქვიარ დროითობაა; არსებებს შორის აფექტური ინფორმაციის გადაცემა, ანარეკლის, განმეორების, ხმოვანი ექოს და დაბრუნების (მაგრამ განსხვავებულად, როგორც მიმიკრიაში) თანმიმდევრობა, და აწმყოში მომავლის ტალღები შემოაქვს. გაიატრი სპივაკი წინასწარმეტყველურად მიაპყრობს ჩვენს ყურადღებას თვითმკვლელობის მულტივალენტურ ტექსტუალობას ტექსტში „შეუძლია თუ არა სუბალტერნს ლაპარაკი?“ თავის უახლეს დაკვირვებებში ის შეგვახსენებს, რომ სუიციდური ტერორიზმი, როგორც აფექტური ინფორმაციის გადამცემი, სუბალტერნისთვის გამოხატვისა და კომუნიკაციის მოდალობაა:

სუიციდური წინააღმდეგობა სხეულზე დაწერილი შეტყობინებაა მაშინ, როდესაც სხვა არანაირი საშუალება არ იმოქმედებს. ეს არის სასჯელიც და გლოვაც, საკუთარი თავისთვის და სხვისთვისაც. რადგან შენ ჩემთან ერთად კვდები იმავე მიზნისთვის, რომელ მხარეზეც არ უნდა იყო. რადგან ვინც არ უნდა იყო, სუიციდურ აფეთქებაში წინასწარგანსაზღვრული მოკლულები არ არსებობენ. არ აქვს მნიშვნელობა, რომელ მხარეზე ხარ, რადგან მე არ შემიძლია შენთან დალაპარაკება, რადგან შენ არ მიპასუხებ, იგულისხმება, რომ ამგვარი საზიარო და უმანკო სიკვდილი დამამცირებელი არ არის.¹⁸

ჩვენ გვეუბნებიან, რომ მხარეები არ არსებობს, და რომ მხარეები მუდმივად იცვლება, იკეცება და მრავლდება, ქრება და ხელახლა ჩნდება - შესაბამისად, ორ სივრცეს შორის ზღვარს დამაკმაყოფილებლად ვერ მონიშნავს. მხარეების სივრცობრივი კოლაფსი ხდება თვითმკვლელი ტერორისტის მიერ შემოტანილი ქვიარ დროითი წყვეტილობის შედეგად, ყველა მხარეს ბომბის ნამსხვრევები ინთხევა. როგორც ქვიარ კრებული - რაც განსხვავდება ცალკეული არსების ან იდენტობის „გაქვიარებისგან“ - რასა და სექსუალობა დენატურალიზებულია თვითმკვლელი ტერორისტის არაპერმანენტულობით და წარმავლობით; სწრაფწარმავალი იდენტობა უკან იხევს თავისივე დაშლის საშუალებით. ამგვარად, „მეს“ „სხვებში“ და „სხვების“ „მე-ში“ გატანტვა არა მხოლოდ შლის „მე-ს“ და „სხვების“ აბსოლუტურ ნიშანს ტერორის წინააღმდეგ ომში, არამედ ქმნის სისტემურ გამოწვევას მანიქისტური რაციონალობის მთელი წესრიგის მიმართ, რომელიც სიკეთისა და ბოროტების ბრძოლის თემას აორგანიზებს. „სხეულზე დაწერილი შეტყობინებით“, „მაშინ, როდესაც სხვა არანაირი საშუალება არ იმოქმედებს“, თვითმკვლელი ტერორისტები არ სცდებიან ან

ისაკუთრებენ რაციონალურს და არც ირაციონალურად მონიშნას იღებენ. ამის ნაცვლად, ისინი ხაზს უსვამენ იმ ნაკლოვან დროით, სივრცობრივ და ონტოლოგიურ დაშვებებს, რომელზეც ამგვარი განსხვავებებია აღმოცენებული.

თუმცა მბემბეს თვითმკვლელი ტერორისტი მაინც კაცია და ამ უნივერსალურ მასკულინობაში, ონტოლოგიურად წმინდაა, მიუხედავად მისი ლოკაციის, ისტორიის და კონტექსტისა. მაშინ როდესაც მბემბესთვის სექსუალობა - როგორც სხეულებრივი საზღვრების მოშლა - გამოხატულია სიკვდილის ბალისტიკური შემთხვევით, ქალი თვითმკვლელის შემთხვევაში სექსუალობა ყოველთვის წინასწარ არის გაცხადებული: პატარა მანიკურიან ხელებზე, მისტიკურ სილამაზესა („ძალადობასთან შერეული სილამაზე“) და ქალის სახესა და სხეულზე იმგვარი კომენტარები კეთდება, რაც კაცი თვითმკვლელის შემთხვევაში საჭიროდ არ მიიჩნევა; ქალი თვითმკვლელი ტერორისტების მოქმედებების პოლიტიკური მნიშვნელობა გენდერირებულია ილუზიებით ქალის სავარაუდო ირაციონალურ ემოციურ და მენტალურ მდგომარეობაზე.¹⁹ ქალი თვითმკვლელი ტერორისტები არღვევენ იმ პროზაულ დებულებას, რომ ტერორიზმი პირდაპირ პატრიარქატისგან იბადება და ქალები არსებითად მშვიდობას განასახიერებენ. მაგრამ ეს არგუმენტი ხელახლა შემოდის, როდესაც დამკვირვებლები აცხადებენ, რომ ძალადობისკენ ყველაზე მიდრეკილი გენდერისა და სექსუალობის ტრადიციული კომპოზიციებისგან გარიყული (ხშირად ლესბოსელებად შერაცხული) ქალები არიან. იდენტობის ეს დისკურსული და სხეულებრივი მარკერები ინტერსექციურობის ჩაუნაცვლებელ შესაძლებლობებს ასახავს - ინტერსექციურობაზე უარს სრულად ვერ ვიტყვით - მაგრამ ასევე მის შებლუდვებსაც.

მბემბე და სპივაკი იმპლიციტურად არტიკულირებენ, თუ როგორ შეადგენს ქვიარობა თვითმკვლელ ტერორისტს: სექსუალურ იდენტობას ჩამოშორებული და ამის ნაცვლად დროითი, სივრცითი და სხეულებრივი სქიზმების მაჩვენებელი, ქვიარობა ერთგვარი წინაპირობაა, რათა სხეულმა იფუნქციონიროს სიმბოლურად, პედაგოგიურად და პერფორმატიულად. სხეულთა საზღვრების მორღვევა აბსოლუტურად ქოტურ გამოწვევას წარმოადგენს გენდერის, სექსუალობისა და რასის ნორმატიული კონვენციების მიმართ, არ ემორჩილება „მართებული“ სხეულებრივი პრაქტიკების კონვენციებს და „უნარიანი“ სხეულის ხელმეუხებელ პოზიციას. მაშასადამე, ეს არის შესაძლო ახლებური წაკითხვა - ქვიარ სხეულებრივ რეალობებად წაკითხვა - ამ ტერორისტი სხეულებისა, რომლებიც ჩვეულებისამებრ, გაგებულია, როგორც

კულტურულად, ეთნიკურად და რელიგიურად ნაციონალისტი, ფუნდამენტალისტი. პატრიარქალური და ხშირად ჰომოფობიურიც. ამგვარი ქვიარ ნაკითხვის პოლიტიკური მნიშვნელობა სათანადოდ უნდა დავათვასოთ: ტერორის წინააღმდეგ ომის „ან ჩვენთან, ან ჩვენ წინააღმდეგ“ რიტორიკის აღმავლობისას, კრებულის ქვიარ პრაქტიკა საშუალებას იძლევა, მხარეები ისე გაითქვიფოს, რომ ისინი გაუგებარი გახდეს დაზვერვის, კონტროლის, განდევნისა და განადგურების სახელმწიფო პრაქტიკებისთვის. ეს არაგამორჩეული, ტერორისტი სხეულები არაჰეტერონორმატიულია, თუ გავითვალისწინებთ (და ასეც უნდა მოვიქცეთ), რომ ეროვნება და მოქალაქეობა ჰეტერონორმატიულობის პრივილეგიის ნაწილია. კეტი კონის არგუმენტზე დაყრდნობით, რომ ჰეტერონორმატიულობისთვის ისეთივე გადამწყვეტია (თეთრი) რასობრივი და (საშუალოდან მაღალ კლასამდე) კლასობრივი პრივილეგია, როგორც სექსუალური იდენტობები, იდენტიფიკაციები და აქტები,²⁰ (ამერიკელი იმპერიალისტი) ერი ასევე წარმოგვიდგება, როგორც ფსიქიკური და მატერიალური იდენტიფიკაციის მნიშვნელოვანი ღერძი, და გამუდმებით აშუქებს ამ სხეულებს, როგორც სექსუალურად პერვერტულებს. ერის პერვერტების ჰომო-ჰეტერო დაყოფებს მიღმა ათვისებით, ქვიარობის არსი ფუნდამენტურად ანტინაციონალისტურია. აფექტური სხეულებრივი რეალობების ქვიარობასთან კავშირით, რომლებიც სქესის, გენდერისა და სექსუალური ობიექტის არჩევის მიღმა მყოფ ნორმატიულ და წინააღმდეგობრივ სხეულებრივ პრაქტიკებს გამოკვეთავენ, ქვიარობა ფართოვდება, როგორც ველი, ვექტორი, ტერიტორია, რომელიც უწყვეტად, და არა სპორადულად, მოიცავს საკუთარ თავში ნაციონალიზმს და რასას, აგრეთვე მძლავრად აცალკევებს მიმართებებს ქვიარ რეპრეზენტაციას და ქვიარ აფექტურობას შორის. რა გავლენას ახდენს ეს ახლებური ნაკითხვა და გაგება კონის მიერ უკვე გაფართოებული ქვიარ კოალიციური პოლიტიკის იდეაზე? რა სახის ავილაციური ქსელები შეიძლება წარმოვიდგინოთ და წარმოვქმნათ, თუ ტერორისტი სხეულების უკვე არსებულ ქვიარ მექანიკებს და კრებულებს - რომლებიც ერის, რასისა და სანქცირებული სხეულებრივი პრაქტიკებისთვის საფრთხეს წარმოადგენს - მივიღებთ?

აფექტური ქვიარობა

უდაოა, ეს სხეულები ახალი არ არის, მაგრამ მათ ქვიარობაზე მიგვანიშნებს ის, რომ ისინი ძლიერ შფოთვებს იწვევენ; ისინი ერის საზღვრებს აშფოთებენ, შიგნიდანაც და გარედანაც და თანაც, აღსავსე არიან და, ასევე, წარმოქმნიან შიშს და ხიფათს. რატომ აკრძალეს, სეკულარული სახელმწიფოს სახელით, საფრანგეთში მუსლიმი

ქალებისთვის თავსაფრის ტარება, მინიშნებებით მომდევნო სამიზნე - ჩალმასა და წვერზე?²¹ რა სახის მონსტრული სხეულები ვიზუალიზდება, როდესაც გაზეთები ყოველდღიურად ივსება ალ-ქაიდას ჩალმიანი წვერების სურათებით? რატომ ყვირიან, „მოიხსენი ეგ ჩალმა, დედამოტყნულო ტერორისტო“?²² რას აგებენ ან იგებენ და ინარჩუნებენ სადამ ჰუსეინის დადასტურებული დაჭერის შემდეგ რამდენიმე საათში მისთვის წვერის გაპარსვის აქტით? (იხილეთ აგრეთვე სურათი „სადამის მეიქოვერი ქვიარ თვალში“ⁱⁱⁱ და „ქვიარი თვალი სადამისთვის“ იგივე „ქვიარი თვალი უიმედო ტიპისთვის.“)²³ ვინ კმაყოფილდება გუანტანამოს ყურეში გაგზავნამდე პატიმრებისთვის სახისა და თავის გაპარსვით? ეს სხეულები ამ ბრძანებების შედეგად მხოლოდ კარგად ხილვადები არ ხდებიან. (საპატიმროს სახელი, „ბანაკი რენტგენი“ [Camp X-Ray] თავისთავად მიგვანიშნებს სიღრმისეულ სურვილზე, რომ ეს სხეულები გამჭვირვალენი გახდნენ, შესაძლებელი გახდეს მათ მიღმა დანახვა და ისინი გასაგებნი, უმეტყველოები და უსხეულოები გახდნენ.) ჰუსეინისთვის მისი შელახული, ხშირი წვერის მოშორებით მისი მონსტრულობა ახლდება. ჩვენ ვერ ვცნობთ მასში დასუსტებულ, დაღეულ, დაღლილ კაცს, რომელიც ორმოში იპოვეს, კაცს, რომლის დაჭერასაც უფრო სიმბოლური, ვიდრე მატერიალური ფუნქცია ჰქონდა და რაც ინვესს „შუა აღმოსავლეთში“ აშშ-ს იმპერიალისტური ძალადობის ათწლეულებისთვის ხაზის გადასმას. მაგრამ ძალიან ნუ დააკვირდებით მის თვალებს, რადგან მისი ნაცნობი სახე შეიძლება დაიკარგოს. აგრეთვე, სხეულის რეტერიტორიალიზაცია ხდება - თმის მოჭრისა და გაპარსვის რიტუალით, სამედიცინო შემონმებების საშუალებით, სალოცავი ადგილით, რომელიც მექისკენ მიმანიშნებელ ისრებთან ახლოსაა და ცხადად „ჰუმანური“ პატიმრობის ტაქტიკების სხვა ფორმებით, რაც წამების ტაქტიკებს ავსებს. ამგვარად, პატიმარი ცერემონიული შესწავლის და სრული დომინაციის ობიექტია.

ტერორისტის მსგავსი სხეულები შეიძლება მიგვანიშნებდეს ქვიარობის გაუგებარ და განსხვავებულ აფექტზე - სხეულებზე, რომლებიც გარკვეული აზრით შერწყმულნი არიან ერთმანეთთან, გამორჩეულები იდენტობის, ვიზუალობისა და ხილვადობის მიღმა, აფექტისა და ონტოლოგიის სამყაროზე, შეხებებსა და შეგრძნებებზე. ბრაიან მასუმი მოკლედ აღგენს აფექტის ეფექტს: „აფექტურის უპირატესობა მონიშნულია

ⁱⁱⁱ „ქვიარი თვალი“ (Queer Eye) ამერიკული რეალური შოუა, რომლის პირველი სერიაც 2003 წლის ივლისში გამოვიდა. შოუს მთავარი პერსონაჟები იყვნენ გვი კაცები, რომლებიც დიზაინერებისა და სტილისტების მსგავსად მოქმედებდნენ და მონვეულ სტუმარს „მეიქოვერს“ (იმიჯის შეცვლას) სთავაზობდნენ. აქ პუარი გულისხმობს შარუს, რომელიც „ქვიარი თვალისა“ და დატყვევებული სადამ ჰუსეინის სახის შერწყმით შეიქმნა. (მთარგმნელის შენიშვნა).

შინაარსსა და ეფექტს შორის სივრცით: ისე ჩანს, რომ სახე-ხატის ძალა ან ხანგრძლივობა, რაიმე პირდაპირი გზით, ლოგიკურად არ არის დაკავშირებული მის შინაარსთან. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ კავშირი და ლოგიკა არ არსებობს.²⁴ მაშასადამე, გარდა იმისა, თუ როგორ გამოიყურება სხეული, ეს იმასაც ეხება, თუ როგორ იგრძნობა სხეული, თვით ამ სხეულის სუბიექტისთვისაც და მაყურებლისთვისაც. მაიკლ ტოსიგის „შეხებით ცოდნის“²⁵ ცნების გადამუშავებისას, მეი ჯომეფი მჭევრმეტყველურად ამტკიცებს,

კულტურებისთვის, სადაც სოციალური ცოდნის ფორმები ფრაგმენტირებული და მუტირებულია დაპყრობისა და კულტურული კონტაქტის მრავალი გამოცდილებით... რთულია, შეხებითი პრაქტიკების წაკითხვა და მათ მიერ მრავალგვარი მნიშვნელობის მოცვა. ამგვარი გაცვლები ხშირად წარმოადგენს არათორმალურ მოვლენებს, რომლებიც დამახასიათებელია ყოველდღიური ცხოვრებისთვის, რომლითაც კულტურული ცოდნის ციტირება, გადაცემა ან რეაპროპრიაცია ხდება. შეგრძნებები სიმყარეს იძენს.²⁶

როგორც მოვლენებს, რომლებსაც „შეგრძნებები მხედველობის მასტრუქტურირებელი ლოგიკის მიღმა გაყავს და მეხსიერებას, როგორც ისტორიის საყრდენს, განდევნის“,²⁷ შეხებით ცოდნებს ტერორისტთა მსგავს რასიალიზებულ სხეულებში ხიფათის, შიშისა და მელანქოლიის ნორმატიული ნაშთები შეაქვს. მაგალითად, ჩალმა სხეულის უბრალო დანამატი არ არის. ის ყოველთვის ქმნადობის პროცესშია, ჩალმიანი სხეულის წარმოქმნის პროცესში, ჩალმის სხეულის ნაწილად ქცევის პროცესშია. თავსაფარიც ამის მსგავსად (ბურკასა და ჰიჯაბთან ერთად, რომლებსაც ხშირად ნიღბებად რაცხავენ), პერვერტული ფეტიშის ობიექტი - ფიქსაციის წერტილი - გახდა, ერთგვარი ცენტრისკენული ძალა, უცნაური მიმზიდველობა, რომლის საშუალებითაც შფოთვის სიხშირე წარმოიქმნება და აკუმულირდება. ჩალმის მატარებლისთვის, სხეულის ამ ნაწილებთან დაკავშირებული რიტუალები და შეგრძნებები - სურნელი ქსოვილის ყოველკვირეული გახამებისას, უხეში ქსოვილის ნაჭრების დაჭიმვა მათი დარბილების მიზნით, ჩალმის მოხვევა და შეკვრა - წინანდელისგან განსხვავებულად, თვისებრივად ახლად წარმოქმნის პროცესში ყოფნის გამოცდილებებია.

ქვიარ აფექტური და შეხებითი სფეროების საშუალებით, სიქური პავარი ანუ ჩალმა (ტერორისტული) მასკულინობის მნიშვნელობებს იძენს, სწორედ ისევე, როგორც თავსაბურავი გახდა „სხვა“ ფემინურობის მანიშნებელი. ჩალმიანი კაცი ახლა აღარ არის მხოლოდ ხანგრძლივი, გზას ამცდარი ტრადიციის ნიშანი, წინააღმდეგობის

ანტიასიმილაციონისტური (თუმცა პატრიარქალური) პოზიცია, ის ახლა მონსტრული სივრცისა და ისტორიის ნაწილია, რომელიც ვერასდროს გახდება ცივილიზებული. ჩალმა არა მხოლოდ „სხვისი“ ნაციონალისტური, რელიგიური და კულტურული სიმბოლიკითაა გაუღენთილი, ჩალმა ერთდროულად ავლენს და მალავს კიდევ ტერორისტს. მიუხედავად ჩალმების ტაქსონომიების, მათი სპეციფიკური რეგიონული და ლოკაციური გენეალოგიების, დროსა და სივრცეში მათი ადგილის, მათი უნიკალურობის და მათი მრავალგვარობისა, ჩალმა, როგორც მონოლითი, ღრმად ამფოთებს და აწუხებს ერს და მისი უსაფრთხოების იდეებს. 9/11-ის შემდეგ, ჩალმიან სიქ კაცებზე, რომლებსაც ოსამა ბინ ლადენის ნათესავებად მიიჩნევდნენ, არაპროპორციული გავლენა მოახდინა საპასუხო რასისტულმა სიძულვილით მოტივირებულმა დანაშაულებმა, რომლის სამიზნე მუსლიმები და სხვა სამხრეთ აზიელები გახდნენ. ჩალმიანი კაცის ან ქალის საეჭვო, მოუხელთებელ პიროვნებას, როგორც დანაშაულის ნიშანს და აგრეთვე, ამ დანაშაულის პოტენციური გამოსყიდვის ნიშანს, დამკვირვებელი შეეძლო გაეგოებინა. შემთხვევითი არ არის, რომ ინციდენტების მთელ რიგში, ჩალმას გაავებით ჩაათრინდებიან, თმას კი ქაჩავენ, ზოგჯერ გლეჯენ კიდევ. ამგვარი ძალადობის ინტიმურობაზე საუბარი გადაჭარბებული ვერ იქნება. თავდასხმა ფუნქციონირებს, როგორც ორმაგი ემასკულაცია: ჩალმის მოხსნა შეურაცხყოფაა (სიქი ან მუსლიმი) თემის (როგორც წესი) კაცი წარმომადგენლისთვის, თმის მოშორება კი ნორმატიული პატრიოტული მასკულინობების მიერ მის დამორჩილებას გამოხატავს. ჩალმა მიანიშნებს მუდმივ მოძრაობაზე იმათ შორის, ვისი დისციპლინირებაც შესაძლებელია და ვინც განდევნილი უნდა იქნას. ხანდახან შედეგი სიკვდილია.

სიქებთან დაკავშირებით, რომლებსაც ადრეულ 1900-იანებში ჩრდილო-დასავლეთსა და კალიფორნიაში პირველი მიგრაციისას შეცდომით „ჰინდუს“ უწოდებდნენ, ახლა კი მუსლიმებში ეზღებათ, ჰიპოთეზას, რომ იდენტობის მცდარად აღქმა პოსტ-9/11-ის სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების მთავარი გამომწვევი მიზეზია, მხარს უჭერენ როგორც კონსერვატიული, ისე პროგრესული ფრაქციები. ბუმის ადმინისტრაციამ და სიქთა ადვოკატორების პროგრესულმა ჯგუფებმა მხარი დაუჭირეს განათლებას, როგორც უპირატეს ინსტრუმენტს ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად. იდენტობის მცდარად აღქმის იდეა რამდენიმე დაშვებას ემყარება: რომ დამკვირვებელი ღიაა და გამოიჩენს ნებას იმისთვის, რომ სიქურ ჩალმებსა და მუსლიმურ ჩალმებს შორის ვიზუალური განსხვავებები გაარჩიოს; რომ ლიბერალური

განათლების მიერ გავრცელებული მულტიკულტურალიზმის იდეალები აღიარებს განსხვავებაში განსხვავების მნიშვნელობას. მცდარად აღქმულ იდენტობაზე ფოკუსი უპირატესობას ანიჭებს ჩალმის ვიზუალურ აღქმას და არა მის აფექტურ აღქმას, რომელიც ორიენტალიზმის ისტორიულ ფორმაციებს იხმობს და შიშს, სიძულვილს და ზიზღს იწვევს. შეხებითი წესრიგები ეპისტემოლოგიურის ნაცვლად ონტოლოგიურ ცოდნას განამტკიცებენ და გამოკვეთენ შეხებას, სიმყარეს, შეგრძნებას, სუნს, გრძობას და აფექტს, როგორც უპირატესს იმაზე, რაც ნაგულისხმევად მხედველობის საშუალებით გაიგება. გარდა ამისა, ჩალმის მატარებელი, რომელიც როგორც წესი კაცია, იღებს კულტურის დაცვისა და გადაცემის და ერის სინმინდის განსახიერების ტიპურად ქალურ ტვირთს. მაგრამ ეს არა მხოლოდ ავტომატურად ახდენს მის ფემინიზაციას; არამედ თმის, ზეთის, ქსოვილის, კანის, ორგანულისა და არაორგანულის შერწყმა ჩალმას სხეულის ქვიარ ნაწილად აქცევს. ვიზუალობის, აფექტის, ფემინიზებული პოზიციის და სხეულებრივი არაორგანულობის ეს კრებული განაპირობებს მის ქვიარ ფიგურირებას სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის აღსრულებისას.

ჩალმიანი ტერორისტის ეს ქვიარ კრებული ეხმიანება ქვიარ სამხრეთ აზიურ დიასპორებში ტერორისტული სხეულებრივი რეალობების მძლავრ ფერტილიზაციას და გამრავლებას, სხეულებს, რომლებიც უნდა დაიბრუნონ, როგორც ქვიარ სხეულები. სამხრეთ აზიური ქვიარ დიასპორები შეიძლება ბაძავდეს უმცირესობის გამორჩეულობის (ამერიკული) მოდელის ფორმებს, რომლებიც ქვიარობას სამაგალითო ან განმათავისუფლებელ ფენომენად მიიჩნევენ, რომელიც დაცლილია ნაციონალისტური იმპულსებისგან; გამორჩეულობად, რომელიც ქვიარობას წარმოაჩენს მოვლენად, რომელიც დიასპორის უმაღლეს ტრანსგრესიულ პოტენციალს აღწევს. მაგრამ დაძაბულობები - და გადაკვეთები - ახლა გაფექტიმებულ დესი^{iv} დრეგ ქვინსა და ჩალმიან ან უჩალმო სიქ ან მუსლიმ ტერორისტს შორის ამ გამორჩეულობას ანელებს. ბრაიან კიტ აქსელი, თავის ორიგინალურ ესეში „დიასპორული წარმოსახვა,“ ორ რადიკალურ ცვლილებას ადგენს დიასპორის კვლევისთვის, როგორც ეს მიღებული იყო ანთროპოლოგიაში, კულტურის კვლევებსა და ინტერდისციპლინურ ფორუმებზე. იგი სიქური დიასპორების თავის კვლევაზე დაყრდნობით აცხადებს, „ნაცვლად იმისა, რომ მივიჩნიოთ, თითქოს სამშობლოა ის,

^{iv} დესი (desi) - ზოგადი ტერმინი აშშ-ში ინდოეთის სუბკონტინენტის ან სამხრეთ აზიის ხალხებისა და კულტურების აღსანიშნავად. (მთარგმნელის შენიშვნა).

რაც დიასპორას ქმნის, შეიძლება უფრო პროდუქტიული იყოს, ვიფიქროთ, რომ დიასპორაა ის, რაც სამშობლოს ქმნის.²⁸ აქსელი მიანიშნებს დაბრუნების მითის მატერიალურ გეოგრაფიულ პრაგმატიკაზე, არარეზიდენტი ინდოელის ეკონომიკურ და სიმბოლურ მნიშვნელობაზე, დიასპორის ფულით დაფინანსებულ ხალისტანის და ჰინდუტვას ნაციონალისტურ მოძრაობებზე და სამშობლოს მოდალობებზე, რომელიც დიასპორაში ხელახლა იქმნება. მისი აზრით, სამშობლო „უნდა გავიგოთ, როგორც აფექტური და დროითი პროცესი და არა როგორც ადგილი.“²⁹ მაგრამ თუ არა ადგილის არსებობა, მაშინ რა ინვესტ დიასპორულ მგრძობელობას ან კოლექტიურობას?

მაგრამ აქსელის ფორმულირება, რომელიც „სხვადასხვა სხეულებს და სექსუალობის, გენდერისა და ძალადობის ისტორიულ ფორმაციებს“ განსაზღვრავს დიასპორული წარმოსახვის ისეთივე ღრმა ნაწილად, როგორც სამშობლოა, შესაძლოა პროდუქტიულად გადამუშავდეს ერის ჰაბიტუსისა და მისი გეოგრაფიული კოორდინატების კიდევ უფრო მეტი გაქვიარებისთვის. ქვიარ დიასპორის იდეა დიასპორას იმგვარად გადააწყობს, რომ მან შეადგინოს ერთობა, რომელიც წინაპრების სამშობლოს გაზიარების მიღმა ან ამისგან განსხვავებულია.³⁰ ეს ნიშნავს, რომ წარმოშობისგან ყურადღების ჩამოშორება საშუალებას აძლევს დიასპორული აფილაციური და კათარზისული ერთობის სხვა ფორმებს - აქსელისთვის (და აგრეთვე მბემბესთვის) ეს პირველ რიგში სხეულები და ტრავმებია, რომლებიც მოსვენებას არ აძლევს დიასპორებს - რომ თავისი აფილაციური ძალები წარმოაჩინონ. გარდა ამისა, წარმოშობის ადგილის, ანუ ერის, როგორც დიასპორის გამაერთიანებელი ორი პირობიდან ერთ-ერთის, მოშლა ფაქტობრივად არყევს სამშობლო-დიასპორას ტელოსს და გამოითაცვებს წინაპრებთან კავშირს დიასპორის ავტომატურად მიჩნეული კომპეტენციის სფეროსგან, ამის ნაცვლად კი ადგილს უთმობს ნათესაობის, მიკუთვნებულობისა და სახლის ქვიარ ნარატივებს. მაშასადამე, ადგილის შეგრძნება ერთ-ერთია იმ მრავალ ინტენსივობებს შორის, რომლებიც დისტანციის საშუალებით განიცდება. შესაბამისად, აქსელისთვის დიასპორა არ არის წარმოდგენილი, როგორც მხოლოდ დემოგრაფიული, გეოგრაფიული ადგილი, ან უპირატესად ისტორიის, მეხსიერების ან თუნდაც ტრავმის საშუალებით. დიასპორა ერთიანდება შეგრძნების, ვიბრაციების, ექოების, სიჩქარის, ბრუნვების, განმეორებადი ნაწილების და გრძობების საშუალებით, ერთდება სხეულებრივი რეალობების, აფექტების, და დავამატებდი,

მრავლობითი და დამოკიდებული დროითობების საშუალებით: არა იდენტობის, არამედ კრებულის საშუალებით.

აქსელისთვის მნიშვნელოვანი სხეულებრივი ხატები არის, აბუ ლრაიბის მსგავსი, ნაწამები სხეულები სიქი კაცი ამრიტდარებისა, რომლებიც ინდოეთის მთავრობამ 1980-იანებსა და 1990-იანების დასაწყისში პენჯაბში მიმდინარე სამოქალაქო არეულობის დროს დააკავა და თვითნებურად დააპატიმრა. აქ ისევ ჩნდება ჩალმიანი სიქი კაცი. აქსელი წამების მექანიკას აღწერს:

ხშირად, პირველი მოქმედება პატიმრისთვის ჩალმის მოძრობაა... ბევრი მსხვერპლისთვის, ჩალმის მოშორება და მისივე თმის გამოყენება მსხვერპლის დასაბმელად, ერთ-ერთი ყველაზე შეურაცხმყოფელი უესტია. მაგრამ მას შემდეგ, რაც დომინაცია და დამცირება თავზე განხორციელდება, ფოკუსი ინაცვლებს გენიტალიებსა და ანუსზე, რომლებიც შეურაცხყოფისა და ძალადობის ობიექტები ხდება.³¹

კოლექტიურად, ჩალმა, გენიტალიები და ანუსი ფალოსის ძალას იძენს: სექსუალური შერცხვენა იწყება თავის მოშიშვლებით და ჩვეულებრივ სიამაყის გამომწვევი თმის საშუალებით დამორჩილებით, შემდეგ კი სექსის ჩვეული ობიექტებით გრძელდება. განსაკუთრებით, ანუსის წამება ანალური სექსის სიმულირებას ესწრაფვის და ამგვარად, ჰომოსექსუალობის ასოციაციას იწვევს. შედეგად, ჩალმიანი კაცის სხეული, ახლა უკვე ნაწამები უჩალმო სხეული რელიგიურად უძღურდება და ეროვნულ საზღვრებს საფრთხეს ვეღარ შეუქმნის:

ეროვნულ-ნორმატიული სექსუალობა ერის რეპროდუქციისთვის სანქცირებულ ჰეტეროსექსუალურ საშუალებებს იძლევა, მაშინ როდესაც ანტიეროვნული სექსუალობა აყოვნებს და ემუქრება ერს. წამება ეროვნულ-ნორმატიულ სექსუალობას მოქალაქის წარმოების ფუნდამენტურ მოდალობად ამკვიდრებს, განსხვავებით ანტიეროვნული სექსუალობისგან, რომელიც სექსს არა მხოლოდ სექსუალური გამოცდილების „მიზგად“ აღგენს, არამედ სუბვერსიული ქცევისა და ექსტრატერიტორიული სურვილებისაც („ახლა ვეღარ დაქორწინდები და მეტ ტერორისტებს ვეღარ გააჩენ“).³²

აქსელისეული დიასპორული წარმოსახვის შემადგენელი მთავარი ფაქტორი სექსუალური ძალადობაა და არა ადგილი. ძალადობა პერფორმატიულია, რადგან სხეულის ქვიარობა რამდენიმე ფრონტზე დასტურდება: პირველი, აქ გვხვდება რეპროდუქციული უნარის ქვიარ ინვერსია კაცი ტერორისტის სხეულზე, განსხვავებით ნორმატიული ფოკუსისა ქალებზე, როგორც ერისა და კულტურის

კვლავმწარმოებლებზე; მეორე, სხეულს სიმბოლურად ართმევენ რეპროდუქციულ უნარს, როდესაც ანტიეროვნული სექსუალობის ქვიარ სფეროში რთავენ; დროითობა ხელახლა ფორმირდება, რადგან იმსხვრევა დაშვება, რომ ნორმატიულ ოჯახურ კავშირებს თაობებს შორის განგრძობითობა იწვევს. მესამე, ჩალმიანი სიქი სხეულის ქვიარ სხეულად ფიგურირების გათვალისწინებით, ეს სხეული უკვე ქვიარად გვევლინება და მაშასადამე, წამება ასრულებს, იმეორებს იმავე ქვიარ კრებულს, რომელსაც ის განასახიერებს. კრებული შესაძლებელი ხდება არა იმ იდენტობის მარკერებით, რომლებიც სხეულს მოიცავს - სიქი, კაცი, ჩალმიანი, ჰეტეროსექსუალი, მაგრამ პერვერტი - არამედ იმ დროითი და სივრცობრივი გადაადგილებებით, რასაც სხეული წამებისას ადასტურებს. დრო და სივრცე ორდება, როდესაც სხეული შესაბამისობაში მოყავთ ნორმატიულ (ინდურ) ეროვნულ ესთეტიკასთან, მაგრამ ამავდროულად, მისთვის რეპროდუქციული უნარის წართმევით სხეულს ერიდან რიყავენ. სივრცობრივად ერსა და მის გარეთ განთავსებული, დროის თვალსაზრისით მუდამ ეროვნულობისა და მისი ანტითეზისის წარმოქმნაში მყოფი, ეს კრებული წამიერი და სწრაფწარმავალია და მისი წარმოქმნის პროცესშიც უმაღვე უთმობს ადგილს იდენტობის ნორმატიულ მარკერებს.

ეროვნული და რეგიონული წარმოშობიდან სხეულებრივ აფექტურობაზე ეს გადასვლა - სამხრეთ აზიიდან, როგორც გამაერთიანებელი სამშობლოდან მონსტრ-ტერორისტი-პიდარასტის კრებულზე გადასვლა - სამხრეთ აზიასა და დიასპორებში ერთიანად, განდევნის იდენტობაზე დაფუძნებული ქვიარობის იდეებს და ამგვარად, პრობლემურს ხდის ქვიარ დიასპორულ გამორჩეულობებს, მაგრამ ამავდროულად ბიძგს აძლევს მათ ექსპონენციალურ ფორტიფიკაციას და გამრავლებას. ჩალმიანი სიქი კაცისა და სხვა ტერორისტული კრებულების ქვიარ ოკუპაცია სექსუალურ გამორჩეულობებს არა მხოლოდ ეროვნული უსაფრთხოების მზერის ქვეშ პერვერსიის - არაგამორჩეულის - მითვისებით უპირისპირდება, არამედ ქვიარ მონსტრულობისა და ქვიარ მოდერნულობის შერევით, ის ასევე შემოქმედებითად, მძლავრად და მოულოდნელად ურევს პოლიტიკურის სფეროს ორგანიზებისა და ინტელექტუალურ პროექტებში. ეს ტერორისტული კრებულები, ინფორმაციული ნაკადების კაკოფონია, ენერგიული ინტენსივობები, სხეულები და პრაქტიკები, რომლებიც თანმიმდევრულ იდენტობას და ანტიიდენტობის ქვიარ ნარატივებსაც კი ძირს უთხრის, სრულიად უვლის გვერდს ფუკოს „აქტიდან იდენტობამდე“ კონტინუუმს, რასაც გლობალური ლგბტიქ ორგანიზება დიდნილად ეფუძნება, კონტინუუმს, რომელიც უპირატესობას ანიჭებს

იდენტობის პოლუსს, როგორც დასავლური მოდერნულობის განვითარებულ ფორმას. მაგრამ არაგამორჩეულის მითვისება საქმის მხოლოდ ნაწილია, რადგან კრებულები პრივილეგიასთან კომპლიციტურობისა და ახალი ნორმატიულობის წარმოების საშუალებას იძლევა მაშინაც კი, როცა მათ არ შეუძლიათ წინასწარ განსაზღვრონ სივრცეები და წინააღმდეგობის მომენტები. მომავლის ფანტასტიკური საოცრებებისთვის ღიაობა ყველაზე ძლიერი პოლიტიკური და კრიტიკული სტრატეგიაა, იქნება ეს კრებული თუ რაიმე სხვა, რაც ჯერაც უცნობია და შეიძლება სამუდამოდ უცნობიც დარჩეს.

შენიშვნები

¹ Joan Scott, “Gender: A Useful Category of Historical Analysis,” in *Gender and the Politics of History* (New York: Columbia University Press, 1988), 28-52.

² სტატიაში “Highlighting the Q in Iraq” (“Letters from Camp Rehoboth,” 18 October 2002, www.camprehoboth.com/issue10_18_02/capitalletters.htm) ჰასტინგს ვაიმანი (Hastings Wyman) აცხადებს, რომ „ისეთი გეი ჯგუფების მიერ, როგორცაა HRC და NGLTF, პოზიციის გამოხატვა მნიშვნელოვან საკითხებზე, რომლებიც გეი ადამიანებზე დანარჩენი საზოგადოებისგან განსხვავებულ გავლენას არ ახდენს, ყოფს ჩვენს თემს, ამცირებს ჩვენს რესურსებს და რისკის ქვეშ აყენებს საზოგადოებაში ჩვენს პოზიციას.“

³ Mubarak Dahir, “Stop Using Gay ‘Liberation’ as a War Guise,” *Windy City Times*, 23 April 2003. დაჰირი აღნიშნავს, რომ „ძალები, რომლებიც თითქოს ჩვენს დაჩაგრულ გლბტ და-ძმებს ათავისუფლებენ, თავად ჰიპერჰომოფობიურები არიან,“ და კითხულობს, „როგორ შეიძლება ვინმემ სერიოზულად ამტკიცოს, რომ აშშ-ს არმია გლბტ გათავისუფლების ინსტრუმენტია?“ დაჰირის მიხედვით, „გეი ქორეზმა“ მიუთითებს სირიისა და ერაყის რეჟიმების მჩაგვრელობაზე ჰომოსექსუალობის მიმართ, მაშინ როდესაც არაფერი უთქვამთ საუდის არაბეთისა და ეგვიპტის მსგავს რეჟიმებზე, რადგან ეს მათთვის ხელსაყრელი არ იყო. დაჰირი ამტკიცებს, რომ ჰუსეინის გადაყენება მნიშვნელოვან გავლენას ვერ მოახდენს ერაყელი გეებისა და ლესბოსელების ცხოვრებაზე და წერს: „ბოლო და ჩემთვის ყველაზე აღმამფოთებელი ასპექტი ფარისევლობისა, რაც ქმნის არგუმენტს, რომ თითქოს უცხო ქვეყნებში გეი ადამიანების გასათავისუფლებლად ვიჭრებით, არის ის, თუ როგორ ვექცევით გეი არაბებს და გეი მუსლიმებს აქ, ამერიკაში.“

⁴ გეი საკითხებზე და არა-გეი საკითხებზე ორგანიზების შესახებ იხ. Michael Bronski, “Gay Goes Mainstream,” *Boston Phoenix*, 16-23 January 2003, www.bostonphoenix.com/boston/news_features/other_stories/documents/02653048.htm.

⁵ Joe Crea, “Gay Sex Used to Humiliate Iraqis,” *Washington Blade*, 7 May 2004.

⁶ Ibid.

⁷ Andrew Sullivan, “Daily Dish,” www.andrewsullivan.com (accessed 4 May 2004).

⁸ Patrick Moore, “Gay Sexuality,” *Newsday*, 7 May 2004.

⁹ თუ ქვიარ კვლევებში ფუკოს „სექსუალობის ისტორიის“ ცენტრალურობას გავითვალისწინებთ, ცოტა არ იყოს, გასაკვირია, რომ ზოგმა ქვიარ თეორეტიკოსმა ისლამური სექსუალური რეპრესიის დისკურსი უკრიტიკოდ მიიღო. აქ არ ვგულისხმობ, რომ ფუკოს ნაშრომი პირდაპირ უნდა გამოვიყენოთ სხვა კულტურულ და ისტორიულ კონტექსტებში, მით უმეტეს, რომ *ars erotica*-ს თავისი ფორმულირებით, ფუკო ორიენტალიზმის მავნებლურ ფორმას ინარჩუნებს. იმის თქმა მინდა, რომ ფუკოს ანალიზი უნდა დაფასდეს, როგორც დისკურსის შესახებ მეთოდოლოგიური ჰიპოთეზა.

¹⁰ მაგრამ არის კი ეს აქტები სპეციფიკურად და მხოლოდ გვი სექსზე მიმანიშნებელი (და აქ, „გვი“ კაცებს შორის სექსს ნიშნავს)? რასაკვირველია, ამგვარი ინტერპრეტაცია თავიდან იცილებს მსჯელობას იმის შესახებ, თუ ზუსტად რა განსხვავებაა გვი სექსსა და ჰეტერო სექსს შორის, და გარდა ამისა, გენდერულ როლებთან მიმართებაში გარკვეულ სტატიკურ ნორმატიულობას გულისხმობს. Amnesty International ერთ-ერთია იმ მცირედთაგან, რომლებმაც წამების შესახებ პრეს-რელიზში ჰომოსექსუალობა, ჰომოსექსუალური აქტები ან ერთნაირსქესიანთა სექსუალობა არ ახსენეს. იხ. “USA: Pattern of Brutality and Cruelty – War Crimes at Abu Ghraib,” web.amnesty.org/library/index/ENGAMR510772004.

¹¹ Jose Esteban Munoz, *Disidentifications: Queers of Color and the Performance of Politics* (Minneapolis: University of Minnesota Press 1999), 108.

¹² “Bauer Compares Vermont Gay Rights Decision to Terrorism,” 27 December 1999, www.cnn.com/1999/ALLPOLITICS/storeis/12/27/campaign.wrap/Concerned_Women_of_America (accessed 2 April 2003; ეს საიტი აღარ არსებობს).

¹³ იხ. usinfo.state.gov/topical/pol/terror/. ამ საიტის დეტალური ანალიზისთვის იხ. Jasbir K. Puar and Amit S. Rai, “The Remaking of a Model Minority: Perverse Projectiles under the Spectre of (Counter) Terrorism,” *Social Text*, no. 80 (2004): 75-104.

¹⁴ ეს არ ემსახურება უარყოფას ან დაკნინებას, იმ მნიშვნელოვანი ინტერვენციებისა, რაც ინტერსექციურმა თეორიამ გახადა შესაძლებელი და კვლავაც აგრძელებს ამაზე მუშაობას, ან იმ ფემინისტური კრიტიკული სივრცეებისა, რომლებმაც ინტერსექციურ ანალიზს დაუდო დასაბამი.

¹⁵ Achille Mbembe, “Necropolitics,” *Public Culture* 15 (2003): 11-40.

¹⁶ ჯუდიტ ბატლერი „სექსუალურ ინვერსიებში“ წერს: „კაცი ჰომოსექსუალი განმეორებითად ფიგურირებს, როგორც ადამიანი, რომლის სურვილი როგორღაც სიკვდილით არის სტრუქტურირებული, ეს ან სიკვდილის სურვილია, ან სურვილი, რომელიც გარდაუვლად სიკვდილით ისჯება“ (Butler, “Sexual Inversions,” in *Discourses of Sexuality: From Aristotle to AIDS*, ed. Donna Stanon [Ann Arbor: University of Michigan Press, 1992], 83).

¹⁷ Mbembe, “Necropolitics,” 36.

¹⁸ Gayatri Spivak, “Class and Culture in Diaspora” (conference keynote address, “Translating Class, Altering Hospitality,” Leeds University, England, June 2002).

¹⁹ Sudha Ramachandran, “Women Suicide Bombers Defy Israel,” *Asia Times*, 25 October 2003, www.atimes.com/atimes/Middle_East/EJ25Ak02.html; www.guardian.co.uk/israel/Story/0,2763,428563,00.html.

²⁰ Cathy J. Cohen, “Punks, Bulldaggers, and Welfare Queens: The Radical Potential of Queer Politics?” *GLQ* 3 (1997): 437-65.

²¹ *Times of India*, 23 January 2004.

²² 9/11-ის შემდეგ სიქი ამერიკელების წინააღმდეგ მიმართული სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ, ვალარი კაურ ბრარის (Valarie Kaur Brar), დოკუმენტური ფილმიდან *Targeting the Turban: Sikh Americans and the Aversion Spiral after September 11* (2002).

²³ ob.politicalhumor.about.com/library/images/blsaddamqueereye.htm.

²⁴ Brian Massumi, *Parables for the virtual: Movement, Affect, Sensation* (Durham, NC: Duke University Press 2002), 24.

²⁵ Michael Taussig, *Mimesis and Alterity* (New York: Routledge, 1993).

²⁶ May Joseph, “Old Routes, Mnemonic Traces,” *UTS Review* 6, no. 2 (2000): 46.

²⁷ *Ibid.*

²⁸ Brian Keith Axel, “The Diasporic Imaginary,” *Public Culture* 14 (2002): 426.

²⁹ *Ibid.*

³⁰ *Ibid.*

³¹ *Ibid.*, 420.

³² Jasbir K. Puar and Amit Rai, “Monster-Terrorist-Fag: The War on Terrorism and the Production of Docile Patriots,” *Social Text*, no. 72 (2002): 117-48.